საქართველო
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

№ 2518

10 10 2017 წ.

"ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების /მიწის ნაკვეთი/ პირობებით პრივატიზებისათვის ელექტრონული აუქციონის გამოცხადებისა და გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის დამტკიცების შესახებ" ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 9 ოქტომბრის N2500 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე" ქვეპუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1.შევიდეს ცვლილება ""ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების /მიწის ნაკვეთი/ პირობებით პრივატიზებისათვის ელექტრონული აუქციონის გამოცხადებისა და გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის დამტკიცების შესახებ" ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 9 ოქტომბრის N2500 ბრძანების დანართი №2-ში და 31-ე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„31.აუქციონი იწყება 2017 წლის 11 ოქტომბერს 17 საათზე და სრულდება 2017 წლის 26 ოქტომბერს 17 საათზე. დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია შემდეგ მისამართზე: ქალაქი ქუთაისი, რუსთაველის გამზირი N3. ტელეფონი: 0(431) 24 10 30, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია".

2.ბრძანების შესრულების კონტროლი განახორციელოს ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ, კონსტანტინე ქავთარაძემ.

3.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვ.კუპრაძის ქ.№11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

4. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი შოთა მურღულია

ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია 212721170